დანართი №1

ბიზნესოპერატორის აღიარების/პირობითი აღიარების ნომრის მინიჭების წესის შესახებ

1. ბიზნესოპერატორი აღიარებისთვის განაცხადით მიმართავს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს ან ცენტრალურ აპარატს.

2. სახელმწიფო კონტროლის შედეგების მიხედვით, სააგენტო ახორციელებს ბიზნესოპერატორის აღიარებას, პირობით აღიარებას ან უარს აცხადებს ბიზნესოპერატორის აღარებაზე სახელმწიფო კონტროლის დასრულებიდან 10 დღის განმავლობაში.

3. სააგენტო აღიარებულ ბიზნესოპერატორს, მათ შორის, პირობით აღიარებულ ბიზნესოპერატორს, ანიჭებს თერთმეტნიშნა ნომერს, რომელშიც:

ა) პირველი ორი ციფრი აღნიშნავს მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსს ეკონომიკური საქმიანობის ადგილის მიხედვით;

ბ) მომდევნო ხუთი ციფრი აღნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ დამტკიცებული "ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი"-თ გათვალისწინებული ეკონომიური საქმიანობის სახეების შესაბამის ჯგუფს და ქვეკლასს;

გ) ბოლო ციფრები აღნიშნავს ბიზნესოპერატორის ნომერს, რომელიც მას ენიჭება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღიარებული საწარმოების რიგითობის მიხედვით, რომელიც იწყება 0001-ით.

4. მონაცემები აღიარებული ბიზნესოპერატორების შესახებ შეიტანება შესაბამის რეესტრში, რომელსაც აწარმოებს და ანახლებს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ხარისხის მართვის და აღიარების სამმართველო.

5. ბიზნესოპერატორის მოთხოვნის საფუძველზე აღიარების მინიჭების შემდეგ შესაძლებელია გაიცეს ბიზნესოპერატორის აღიარების სერთიფიკატი.

მუნიციპალიტეტის/ქალაქის ინდექსები

თბილისი	01
იმერეთის მუნიციპალიტეტები	02
სამაგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტები	03
კახეთის მუნიციპალიტეტები	04
ქვემო ქართლის მუნიციპალიტეტები	05
შიდა ქართლის მუნიციპალიტეტები	06
სამცხე-ჯავახეთის მუნიციპალიტეტები	07
მცხეთა-მთიანეთის მუნიციპალიტეტები	08
რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტები	09
გურიის მუნიციპალიტეტები	10
აჭარის მუნიციპალიტეტები	11
აფხაზეთის მუნიციპალიტეტები	12